Grant Thornton

გამჭვირვალობის წლიური ანგარიში

აუდიტის ხარისხისადმი ერთგულება

2025 წელი

შინაარსი

მმართველი პარტნიორის მიმართვა	3
სტრუქტურა და ფირმის მმართველობა	5
Grant Thornton International Limited (GTIL)	7
ხარისხი	10
ეთიკა და დამოუკიდებლობა	22
ადამიანები და კულტურა	30
აუდიტის ტექნოლოგიები	34
მდგრადობა	36
ფინანსური ინფორმაცია	42

მმართველი პარტნიორის მიმართვა

შპს გრანთ თორნთონის 2025 წლის გამჭვირვალობის ანგარიში

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ შპს გრანთ თორნთონის 2025 წლის გამჭვირვალობის ანგარიში.

2025 წელი ჩვენი ფირმისთვის მნიშვნელოვანი განვითარების, ზრდისა და გაძლიერების წელი იყო. მიუხედავად მსოფლიოში, რეგიონში და ქვეყანაში არსებული არასტაბილური და ცვალებადი გარემოსი, ჩვენ შევძელით გაგვეგრძელებინა განვითარება, გაგვემყარებინა საბაზრო პოზიციები და შეგვენარჩუნებინა მკაფიო ფოკუსი ხარისხზე, პროფესიულ სტანდარტებსა და კლიენტებისთვის მაღალი ღირებულების შექმნაზე.

წლის განმავლობაში ჩვენი ჯამური შემოსავალი გაიზარდა და შეადგინა 6.85 მილიონი ლარი, რაც 25%-იან წლიურ ზრდას წარმოადგენს. ეს შედეგი ასახავს როგორც ჩვენი გუნდის პროფესიონალიზმსა და თავდადებას, ასევე კლიენტების ნდობას შპს გრანთ თორნთონის მიმართ. მნიშვნელოვანი კონტრაქტები გაფორმდა როგორც არსებულ, ისე ახალ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან კლიენტებთან, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი პოზიცია ბაზარზე.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შპს გრანთ თორნთონი ინარჩუნებს ადგილს საქართველოს წამყვან აუდიტორულ და საკონსულტაციო ფირმებს შორის. აღნიშნული წარმატება ეფუძნება გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას, ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას, კლიენტებთან მჭიდრო თანამშრომლობას და ჩვენი თანამშრომლების მაღალ პროფესიულ სტანდარტებს.

ჩვენი ფოკუსი ხარისხზე

აუდიტის ხარისხი კვლავ რჩება ჩვენი საქმიანობის მთავარ საფუძვლად. პროფესიული სტანდარტების დაცვა, დამოუკიდებლობა და ეთიკური ქცევა წარმოადგენს იმ პრინციპებს, რომლებზეც შპს გრანთ თორნთონის აუდიტორული პრაქტიკა დგას.

2025 წლის განმავლობაში ჩვენ განვაგრძეთ ინვესტირება ჩვენი აუდიტის პროფესიონალების განვითარებაში, ტრენინგებსა და მხარდაჭერაში. ასევე გავაძლიერეთ ხარისხის მართვის სისტემა, დავხვეწეთ შიდა პროცესები და განვაგრძეთ Grant Thornton-ის გლობალური მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გამოყენება, რათა ჩვენს გუნდებს ჰქონდეთ ეფექტიანი აუდიტის ჩასატარებლად საჭირო ცოდნა, პროფესიული განსჯა და ტექნოლოგიური რესურსები.

ტექნოლოგიით მხარდაჭერილი აუდიტი

ტექნოლოგია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიტის ხარისხის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაძლიერებაში. 2025 წლის განმავლობაში ჩვენ განვაგრძეთ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება და აუდიტის პროცესებში ტექნოლოგიური შესაძლებლობების ინტეგრირება.

ჩვენი მიზანია, ტექნოლოგიამ გააძლიეროს აუდიტორული პროცედურების თანმიმდევრულობა, გაუმჯობესოს მონაცემების ანალიზი და ხელი შეუწყოს უფრო ხარისხიანი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას. ამასთან, პროფესიული განსჯა, სკეპტიციზმი და აუდიტორის პასუხისმგებლობა კვლავ რჩება აუდიტის პროცესის ცენტრში.

ჩვენი ადამიანები და ორგანიზაციული განვითარება

ჩვენი წარმატების მთავარი საფუძველი ჩვენი ადამიანები არიან. 2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას, ცოდნის გაღრმავებას და კარიერული ზრდის ხელშეწყობას. გვეამაყება, რომ ჩვენი გუნდის წევრები აგრძელებენ პროფესიულ წინსვლას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ფირმის განვითარებაში.

2026 წლის იანვრიდან ჩვენს წამყვან დეპარტამენტებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ცვლილებები. თამთა ნუცუბიძე გახდა შპს გრანთ თორნთონის აუდიტის მიმართულების პარტნიორი (Non-equity Partner) და ამ პოზიციიდან კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვება ფირმის მართვასა და აუდიტორული პრაქტიკის განვითარებაში. ხატია გიორგობიანი დაინიშნა ბიზნეს საკონსულტაციო განყოფილების დირექტორად. 2025 წლის განმავლობაში ხატია წარმატებით ხელმძღვანელობდა არაერთ რთულ და კომპლექსურ პროექტს, რამაც ხელი შეუწყო განყოფილების მომსახურებების გაფართოებას, მართვის სტრუქტურის დახვეწასა და კლიენტების პორტფელის ზრდას.

აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ცალკეული მიმართულებების, ისე მთლიანად ფირმის შემდგომი განვითარებისთვის. ისინი ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებას და შპს გრანთ თორნთონის სტრუქტურულად გამართულ ფუნქციონირებას.

მომავლის ხედვა

2026 წლისთვის ჩვენ ვხედავთ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ზრდისა და განვითარების მიმართულებით. ჩვენი მთავარი პრიორიტეტები იქნება აუდიტის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, კლიენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობების გაძლიერება, თანამშრომლების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა და ტექნოლოგიების პასუხისმგებლიანი გამოყენება.

კლიენტების მზარდი საჭიროებების საპასუხოდ, ასევე გაიხსნა წარმომადგენლობითი ოფისი ქალაქ ფოთში, რაც გააძლიერებს ჩვენს რეგიონულ ხელმისაწვდომობას და საშუალებას მოგვცემს, უფრო ეფექტიანად ვუპასუხოთ კლიენტების მოთხოვნებს.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩვენს თანამშრომელს პროფესიონალიზმისთვის, ერთგულებისთვის და კომპანიის წარმატებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის. ასევე მადლობას ვუხდი ჩვენს კლიენტებსა და პარტნიორებს ნდობისთვის. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მუშაობას იმავე პრინციპებით - ხარისხით, კეთილსინდისიერებით, პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

გრანთ თორნთონი / Grant Thornton

სტრუქტურა და ფირმის მმართველობა

სამართლებრივი სტრუქტურა

შპს გრანთ თორნთონი - Grant Thornton International Ltd-ის წევრი ფირმა - რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2005 წლის 20 მარტს; რეგისტრაციის № 200136600. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ი. მოსაშვილის ქ. 24, თბილისი, საქართველო; აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-780146.

კომპანია აუდიტის ხარისხთან დაკავშირებულ ნაწილში ექვემდებარება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან რეგულარულ მიმოხილვას და ვალდებულია დაიცვას შესაბამისი რეგულაციები. გარდა ამისა, კომპანია სრულად იცავს შესაბამის საგადასახადო, კორპორაციულ და შრომით კანონმდებლობას.

შპს გრანთ თორნთონის მფლობელები არიან:

- ემილ ვასილიანი - 48.5%,
- GT Partners LLC - 31.5%,
- ვახტანგ ცაბაძე - 10%, და
- პაატა შურღაია - 10%.

ზემოთ აღნიშნული პირებიდან ორნი - ვახტანგ ცაბაძე და პაატა შურღაია - ასრულებენ მმართველი პარტნიორის როლს ადგილზე და პასუხისმგებელნი არიან კომპანიის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრაზე, კლიენტების მომსახურების მიწოდებასა და საოპერაციო მმართველობაზე.

კომპანია მკაცრად იცავს პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ეთიკის კოდექსს, რაც უზრუნველყოფს პატიოსნების, ობიექტურობისა და პროფესიული ქცევის პრინციპების დაცვას ყველა მიმართულებით.

Grant Thornton საქართველო, როგორც Grant Thornton International Ltd (GTIL)-ის სრულუფლებიანი წევრი ფირმა, ინარჩუნებს მმართველობით და სტრუქტურულ დამოუკიდებლობას, ამასთან სრულად იცავს GTIL-ის გლობალურ სტანდარტებს ხარისხის, ეთიკისა და პროფესიული სრულყოფილების მიმართულებით.

Grant Thornton International Ltd (GTIL) არის რეგისტრირებული ინგლისსა და უელსში. GTIL წარმოადგენს კოორდინაციის საერთაშორისო სტრუქტურას და თვითონ არ აწვდის მომსახურებას კლიენტებს.

GTIL და წევრი ფირმები არ არიან ერთმანეთის აგენტები, არ წარმოადგენენ ერთმანეთის სახელით ვალდებულებებს და არ არიან პასუხისმგებელნი ერთმანეთის ქმედებებსა თუ უმოქმედობაზე. წევრი ფირმები იყენებენ Grant Thornton-ის ბრენდს დამოუკიდებლად, საკუთარ ეროვნულ სახელთან ერთად.

მმართველობა

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობენ მმართველი პარტნიორები – ვახტანგ ცაბაძე და პაატა შურღაია, რომელთაც მხარს უჭერს მენეჯმენტის კომიტეტი, რომელიც შედგება პარტნიორებისგან, დირექტორებისა და უფროსი მენეჯერებისგან.

მმართველი პარტნიორები პასუხისმგებელი არიან შემდეგზე:

- უზრუნველყონ, რომ კომპანიის ოპერაციები სრულად შეესაბამებოდეს ფირმის მიერ განსაზღვრულ სტრატეგიას; და
- მართონ კომპანიის საქმიანობა ისე, რომ იგი იყოს თანხვედრაში კლიენტების ინტერესებთან, თანამშრომელთა კეთილდღეობასთან და ფირმის ღირებულებებსა და ეთიკურ სტანდარტებთან.

ფირმის პროფესიული მომსახურებების მიმართულებებით პასუხისმგებლობები გაყოფილია მმართველ პარტნიორებს შორის და აუდიტსა და მარწმუნებელ მომსახურებებს ხელმძღვანელობს ვახტანგ ცაბაძე, ხოლო პაატა შურღაიას პასუხისმგებლობის სფეროა საბუღალტრო, საგადასახადო და საკონსულტაციო მიმართულებები.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება ვახტანგ ცაბაძეს, რომელიც არის რეგისტრირებული აუდიტორი, საზოგადოებრივი დაინტერესების პირთა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებით.

მენეჯმენტის კომიტეტი

მენეჯმენტის კომიტეტი ინიშნება მმართველი პარტნიორების მიერ და შედგება სხვადასხვა დეპარტამენტისა და ძირითადი საოპერაციო მიმართულებების ხელმძღვანელებისგან.

მენეჯმენტის კომიტეტის პასუხისმგებლობა მოიცავს:

- კომპანიის ღირებულების შექმნის შესაძლებლობების კოორდინაციასა და რესურსების განაწილებას იმ მიმართულებებზე, სადაც მათი გამოყენება ყველაზე ეფექტიანია;
- შეთანხმებული ბიზნეს-გეგმების მომზადებასა და შესრულებას;
- მენეჯმენტის ინფორმაციის გადამოწმებასა და კომუნიკაციის პროცესების გაუმჯობესებას;
- დირექტორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურ შესრულებას კომპანიის ოპერაციების და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით;
- კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მონიტორინგს, მათ შორის შიდა კონტროლებისა და რისკების მართვის სისტემების შენარჩუნებასა და განვითარებას;
- და სხვა ფუნქციების შესრულებას, კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე.

Grant Thornton International Limited (GTIL)

Grant Thornton International Ltd (GTIL)-ის შესახებ

Grant Thornton International Limited (GTIL) არის Grant Thornton-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ქსელის ქოლგა ორგანიზაცია. ქსელი აერთიანებს 80,000-ზე მეტ პროფესიონალს წევრ ფირმებში მსოფლიოს 150-ზე მეტ ბაზარზე.

GTIL-ის წევრ ფირმებს საერთო მიზანი აქვთ — დაეხმარონ კლიენტებს თავიანთი ამბიციების განხორციელებაში ნებისმიერ გარემოში. ქსელი აერთიანებს გლობალურ მასშტაბსა და შესაძლებლობებს ღრმა ადგილობრივ ცოდნასა და ლოკალრი კონტექსტის ხედვასთან.

როდესაც ორგანიზაციები ახალ ბაზრებზე გაფართოებას გეგმავენ, ოპერაციული

ეფექტიანობის გაუმჯობესებას ცდილობენ, რისკებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებს მართავენ ან დაინტერესებული მხარეებისთვის ღირებულების გაზრდას ისახავენ მიზნად, Grant Thornton-ის წევრი ფირმები მათ საჭიროებებზე მორგებულ აუდიტის, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურებებს აწვდიან. ჩვენი გლობალური წვდომა, ძლიერი ადგილობრივი ექსპერტიზასთან ერთად, საშუალებას გვაძლევს მხარი დავუჭიროთ კლიენტებს იქ, სადაც ისინი საქმიანობენ.

.

Grant Thornton-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ქსელი



8.5bn
შემოსავალი (USD)

80,000+
თანამშრომლები

150+
ბაზარი

Grant Thornton-ის წევრი აუდიტორული ფირმები ევროკავშირის (EU) / ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) წევრ სახელმწიფოებში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სავალდებულო აუდიტორები და აუდიტორული ფირმები, რომლებიც ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრ სახელმწიფოებში Grant Thornton-ის ქსელის წევრები არიან. ცხრილში ასევე მითითებულია ქვეყნები, სადაც ისინი რეგისტრირებულნი არიან ან სადაც მდებარეობს მათი საქმიანობის ძირითადი ადგილი, 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.

ევროკავშირის / ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრ ფირმებზე მიკუთვნებული მარწმუნებელი მომსახურებების მთლიანი შემოსავალი შეადგენს 829.4 მილიონ აშშ დოლარს, რაც მთლიანი გლობალური მარწმუნებელი მომსახურებების შემოსავლების — 3.8 მილიარდი აშშ დოლარის — დაახლოებით 22%-ს წარმოადგენს.

ქვეყანა	წევრი ფირმა
Austria	Grant Thornton Austria GmbH Wirtschaftsprüfungs und Steuerberatungsgesellschaft
Austria	Grant Thornton ALPEN-ADRIA Wirtschaftsprufung GmbH
Belgium	Grant Thornton Bedrijfsrevisoren BV
Bulgaria	Grant Thornton OOD
Croatia	Grant Thornton revizija d.o.o.
Cyprus	Grant Thornton (Cyprus) Ltd
Czech Republic	Grant Thornton Audit s.r.o.
Denmark	Grant Thornton, Godkendt Revisionspartnerselskab
Estonia	Grant Thornton Baltic OÜ
Finland	Grant Thornton Oy
Finland	Advico Finland Oy
France	Grant Thornton SAS
France	AEG Finances – Audit.Expertise. Gestion SAS
France	Institut de gestion et d'expertise-comptable - IGEC SAS
France	Tuillet Audit SAS
France	Grant Thornton Audit SAS
France	Carib Audit & Conseil SAS
France	Finexsi-Audit SAS
Germany	Grant Thornton AG Wirtschaftsprüfungsgesellschaft
Greece	Grant Thornton SA

ქვეყანა	წევრი ფირმა
Hungary	Grant Thornton Audit Kft.
Iceland	Grant Thornton endurskoðun ehf
Ireland	Grant Thornton
Ireland	Grant Thornton (NI) LLP
Italy	Ria Grant Thornton S.p.A.
Latvia	Grant Thornton Baltic Audit SIA
Liechtenstein	Grant Thornton AG, Schaan
Lithuania	Grant Thornton Baltic UAB
Luxembourg	Grant Thornton Audit & Assurance
Malta	Grant Thornton Malta
Netherlands	Grant Thornton Audit en Assurance B.V.
Norway	Grant Thornton Revisjon AS
Poland	Grant Thornton Polska PSA
Portugal	Grant Thornton & Associados, SROC, Lda
Romania	Grant Thornton Audit SRL
Slovak Republic	Grant Thornton Audit, s.r.o.
Slovenia	Grant Thornton Audit d.o.o.
Spain	Grant Thornton, S.L.
Sweden	Grant Thornton Sweden AB

ხარისხი

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა

Grant Thornton საქართველოსთვის აუდიტის ხარისხი წარმოადგენს ფირმის საქმიანობის ძირითად საფუძველს. ჩვენი მიზანია, თითოეული აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგება შესრულდეს პროფესიული სტანდარტების, მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნებისა და Grant Thornton-ის გლობალური ქსელის ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი ხარისხისადმი მიდგომა ეფუძნება მკაფიო მმართველობას, პროფესიულ სკეპტიციზმს, ეთიკურ ქცევას, დამოუკიდებლობას, მუდმივ სწავლასა და განვითარებას, ეფექტიან კონსულტაციებს, ხარისხის მიმოხილვებსა და მონიტორინგის პროცედურებს. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს, რომ აუდიტის გუნდებმა მიიღონ სათანადო და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება და გასცენ გარემოებების შესაბამისი აუდიტორული დასკვნები.

შპს გრანთ თორნთონის ხარისხის მართვის სისტემა ითვალისწინებს როგორც Grant Thornton International Ltd-ის მეთოდოლოგიასა და პოლიტიკებს, ასევე საქართველოში მოქმედ მოთხოვნებს, მათ შორის პროფესიულ სტანდარტებს, ეთიკისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს და შესაბამის ადგილობრივ მარეგულირებელ ჩარჩოს.

ხარისხის მართვის სისტემა

ფირმაში მოქმედებს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ ფირმას მისცეს გონივრული რწმუნება, რომ:

ფირმა და მისი თანამშრომლები ასრულებენ თავიანთ პასუხისმგებლობებს პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად; და

ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული აუდიტორული და სხვა მარწმუნებელი ანგარიშები შესაბამისია არსებულ გარემოებებთან.

ხარისხის მართვის სისტემა მოიცავს პოლიტიკებსა და პროცედურებს შემდეგ ძირითად მიმართულებებში:

- მმართველობა და ლიდერობა;
- ეთიკური მოთხოვნები და დამოუკიდებლობა;
- კლიენტისა და გარიგების მიღება და გაგრძელება;
- გარიგების შესრულება;
- რესურსები, მათ შორის ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსები;
- ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- მონიტორინგი და გამოსწორება.

აღნიშნული სისტემა არ გამორიცხავს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებულ ყველა რისკს, თუმცა მიზნად ისახავს ასეთი რისკების მართვას და ფირმისთვის გონივრული, და არა აბსოლუტური, რწმუნების უზრუნველყოფას.

მმართველობა და პასუხისმგებლობა ხარისხზე

შპს გრანთ თორნთონში ხარისხზე პასუხისმგებლობა იწყება ფირმის ხელმძღვანელობიდან. ფირმის ხელმძღვანელობა აყალიბებს ხარისხზე ორიენტირებულ კულტურას და უზრუნველყოფს, რომ ხარისხი იყოს ფირმის სტრატეგიული და საოპერაციო გადაწყვეტილებების განუყოფელი ნაწილი.

გარიგების დონეზე აუდიტის ხარისხზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი. იგი პასუხისმგებელია აუდიტის დაგეგმვაზე, შესრულებაზე, ზედამხედველობაზე, მნიშვნელოვანი პროფესიული განსჯების განხილვაზე და იმაზე, რომ აუდიტორის დასკვნა ეფუძნებოდეს სათანადო და საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ფირმაში ასევე მოქმედებს შიდა კონსულტაციისა და ხარისხის მიმოხილვის მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება რთული ან მაღალი რისკის საკითხების შემთხვევაში, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის მეთოდოლოგიის, დამოუკიდებლობის, ეთიკისა და დასკვნის ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აუდიტის მეთოდოლოგია და პროფესიული სტანდარტები

შპს გრანთ თორნთონი იყენებს Grant Thornton-ის გლობალურ აუდიტის მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს. მეთოდოლოგია მორგებულია ადგილობრივ გარემოზე და ითვალისწინებს საქართველოში მოქმედ სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

აუდიტის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს:

- რისკების იდენტიფიცირება და შეფასება;
- არსებითი უზუსტობის რისკებზე შესაბამისი აუდიტორული რეაგირების დაგეგმვა;
- პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენება;
- მნიშვნელოვანი განსჯებისა და შეფასებების დოკუმენტირება;
- აუდიტორული მტკიცებულებების საკმარისობისა და სათანადოობის შეფასება;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და

გამჟღავნების შესაბამისობის შეფასება;

- აუდიტორის ანგარიშის შესაბამისი ფორმით მომზადება.

კონსულტაციები და რთული საკითხების განხილვა

რთული, არასტანდარტული ან მაღალი რისკის საკითხების შემთხვევაში აუდიტის გუნდები ვალდებულნი არიან ჩაატარონ შესაბამისი შიდა კონსულტაციები. ასეთი საკითხები შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის:

- ფინანსური ანგარიშგების რთულ საკითხებს;
- მნიშვნელოვან ბუღალტრულ შეფასებებს;
- საქმიანობის უწყვეტობის შეფასებას;
- დაკავშირებული მხარეების ოპერაციებს;
- აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების საჭიროებას;
- დამოუკიდებლობის ან ეთიკის საკითხებს;
- მარეგულირებელ ან სამართლებრივ რისკებს.

კონსულტაციის შედეგები დოკუმენტირდება აუდიტის ფაილში და გათვალისწინებულია აუდიტორის საბოლოო დასკვნის ფორმირებისას.

გარიგების ხარისხის მიმოხილვა

გარკვეული აუდიტები, მათ შორის მაღალი რისკის, რთული ან საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სუბიექტების აუდიტები, ექვემდებარება გარიგების ხარისხის მიმოხილვას.

გარიგების ხარისხის მიმომხილველი წარმოადგენს გამოცდილ და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, რომელიც დამოუკიდებელია გარიგების გუნდისგან. მისი მიზანია, აუდიტორის ანგარიშის გამოქვეყნებამდე შეაფასოს მნიშვნელოვანი პროფესიული განსჯები, აუდიტის მტკიცებულებები და დასკვნის პროექტი.

გარიგების ხარისხის მიმოხილვა მოიცავს, საჭიროებისამებრ:

- აუდიტის დაგეგმვისა და რისკების შეფასების მიმოხილვას;
- მნიშვნელოვანი აუდიტორული საკითხების განხილვას;
- მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებებისა და განსჯების შეფასებას;
- მენეჯმენტთან და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაციის მიმოხილვას;
- აუდიტორის დასკვნის პროექტის შეფასებას.

გარიგების ხარისხის მიმოხილვის დასრულება აუცილებელია აუდიტორის საბოლოო ანგარიშის გაცემამდე იმ გარიგებებისთვის, რომლებზეც ასეთი მიმოხილვა სავალდებულოა.

აუდიტორული ანგარიშგება

შპს გრანთ თორნთონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აუდიტორის ანგარიშის მკაფიო, დაბალანსებულ და გარემოებების შესაბამის ფორმირებას.

აუდიტორის დასკვნის გაცემამდე აუდიტის გუნდი აფასებს:

- მიღებულია თუ არა საკმარისი და სათანადო აუდიტორული მტკიცებულება;
- არსებობს თუ არა აუდიტის მოცულობის შეზღუდვა;
- შესაბამისია თუ არა ფინანსური ანგარიშგების გამოყენებული საფუძველი;
- საჭიროა თუ არა მოდიფიცირებული მოსაზრება;
- საჭიროა თუ არა მნიშვნელოვანი გაურკვევლობის, ძირითადი აუდიტის საკითხების ან სხვა განმარტებითი პარაგრაფების ჩართვა;
- დასკვნა შეესაბამება თუ არა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი მოთხოვნების ფორმატსა და შინაარსს.

ფირმა მიზნად ისახავს, რომ აუდიტორის ანგარიში იყოს გასაგები, სათანადოდ დასაბუთებული და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების საჭიროებებთან.

აუდიტის ხარისხის შეფასება

შიდა მონიტორინგი

ჩვენი შიდა მონიტორინგის პროგრამა ტარდება უწყვეტად, რათა უზრუნველყოს, რომ ხარისხთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი დროულად იქნას აღმოჩენილი და შესაბამისად მოგვარებული, ხოლო უწყვეტი გაუმჯობესების მიზანი რეალურად მიღწევადი იყოს. შემოწმებები მიზნად ისახავს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების დეპარტამენტში განხორციელებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას, რაც მოიცავს როგორც მარწმუნებელ მომსახურებას, ისე ფინანსური სექტორისა და კორპორაციულ აუდიტებს. მიმოხილვები მოიცავს შემდეგ მომსახურების მიმართულებებს: აუდიტი, კონსულტაცია, საგადასახადო მომსახურება.

შპს გრანთ თორნთონი სრულად არის ერთგული მაღალი სტანდარტის აუდიტორული მუშაობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისადმი.

ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა არის ხარისხის მართვის სისტემის რეგულარული შემოწმება, რაც მოიცავს როგორც ფირმის ძირითადი კონტროლების შეფასებას, ისე დასრულებული ფაილების მიმოხილვას - რათა დადგინდეს შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტებთან. წლიური გადახედვები ტარდება აუდიტის კლიენტების პორტფელზე როტაციის პრინციპით, შესაბამისი შერჩევით შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ინდუსტრია / სექტორი;
- გარიგების ხელმძღვანელი;
- ჰონორარის ოდენობა;
- რისკის დონე;
- გარიგების დაწყების წელი;
- მომსახურების მიმართულება.

ჩვენი ფირმის ყველა კლიენტთან მომუშავე მიმართულებაში გამოყენებულია მსგავსი ხარისხის კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეპუტაციის დაცვა და გამყარება.

ხარისხის მონიტორინგის პროგრამა მტკიცედ არის ჩამოყალიბებული და მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

სტანდარტიზებული მიდგომის გამოყენება, რომელიც შემუშავებულია GTIL-ის მიერ, რაც უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის თანმიმდევრულობას ყველა წევრ ფირმაში;

წლიური გადახედვები ტარდება ხარისხის მონიტორინგის ლიდერის ხელმძღვანელობით, რათა უზრუნველყოს პროცესის ობიექტურობა და თანმიმდევრულობა ყველა მონაწილე პირის მხრიდან; მიმომხილველები ინიშნება მათი დამოუკიდებლობის, უნარების, ინდუსტრიული გამოცდილებისა და პროფესიული კომპეტენციის საფუძველზე;

იმ შემთხვევაში, თუ ნაკლოვანებები ან ხარვეზები იდენტიფიცირდება, აუდიტის ხელმძღვანელი ვალდებულია შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა აღმოჩენილი საკითხების აღმოსაფხვრელად;

აუდიტის ხარისხის მიმოხილვების შედეგად გამოვლენილი საკითხები ეცნობება მთელ აუდიტორულ დეპარტამენტს ტრენინგებისა და ტექნიკური განახლებების საშუალებით;

აღნიშნულ თემებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მომდევნო შემოწმების პროგრამებში, რათა შეფასდეს გაუმჯობესების მასშტაბი;

სიღრმისეული მიზეზების ანალიზი ტარდება ყველა მნიშვნელოვანი ხარვეზის შემთხვევაში და შემუშავდება შესაბამისი სამოქმედო გეგმები, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი გამეორება.

ხარისხის მართვის სისტემის შეფასება

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 1 (ISQM 1) განსაზღვრავს ფირმის პასუხისმგებლობას დიზაინის, დანერგვისა და ოპერირების სისტემის შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის მართვას ფინანსური ანგარიშგებების აუდიტებისა და მიმოხილვებისთვის, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების ჩა გარიგებებისთვის. აღნიშნული სტანდარტი ამოქმედდა 2022 წლის დეკემბრიდან. ამ ცვლილებაზე რეაგირების მიზნით, GTIL-მა განახორციელა სპეციალური მიმოხილვების სერია, რომლებიც მიზნად ისახავდა წევრი ფირმების მიერ ISQM 1-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას და კონტროლს.

ISQM 1-ის წარმატებული დანერგვა ქსელის მასშტაბით იყო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პრიორიტეტი Grant Thornton-ისთვის, ვინაიდან იგი წარმოადგენს რისკების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ცენტრალურ ელემენტს. ამ მიზნების ჰარმონიზაცია სრულად შეესაბამება Grant Thornton-ის ქსელის სტრატეგიაში განსაზღვრულ მოლოდინებსა და ხარისხის სტანდარტებისადმი ერთგულებას.

ყველა Grant Thornton-ის წევრმა ფირმამ განაცხადა, რომ მათ წარმატებით დაასრულეს ISQM 1-ის დანერგვის პროცესი. ამჟამად GTIL ახორციელებს შესაბამისობის მონიტორინგს კომბინირებული მიდგომით — ეს მოიცავს როგორც GTAR-ის (Grant Thornton Assurance Review) ფარგლებში განხორციელებულ პროცედურებს, ისე ISQM 1-ის სპეციალურ მიმოხილვებს თითოეულ წევრ ფირმაში.

GTIL აქტიურად უჭერს მხარს წევრ ფირმებს ამ პროცესში, მათ შორის: სპეციალური ISQM 1-ის რესურსების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მეთვალყურეობას და ტექნიკურ დახმარებას; ვებინარების, სახელმძღვანელოებისა და შაბლონების მიწოდებით, რომლებიც ხელს უწყობს პრაქტიკული დანერგვის გამარტივებას. მიუხედავად ამ მხარდაჭერისა, GTIL მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ თითოეული წევრი ფირმა სრულიად პასუხისმგებელია საკუთარი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიან დიზაინსა და ოპერირებაზე, რაც წარმოადგენს დამოუკიდებლობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის განუყოფელ ნაწილს.

ხმსს 1-თან შესაბამისობა

ფირმის მენეჯმენტის განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შესახებ 2025 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენ შევასრულეთ შეფასება 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდში, ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შესახებ, ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის (ხმსს 1) შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია აუდიტისა და მარწმუნებელი საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ. გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია დადგენილ ხარვეზებთან, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი, თუმცა არა ყოვლისმომცველი გავლენა სისტემის დიზაინზე, დანერგვასა და ოპერირებაზე - ფირმის ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს გონივრულ რწმუნებას, რომ ხარისხის მართვის მიზნები მიღწეულია. ყველა სხვა შენიშვნა და აღმოჩენილი საკითხი იქნება გამოსწორებული და აღმოფხვრილი აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის პარალელურად.

გარე მონიტორინგი

Grant Thornton Assessment and Review (GTAR) programme წარმოადგენს გლობალური აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურებების ხარისხის მონიტორინგის პროგრამას.
GTAR-ის პროცესი აფასებს თითოეული წევრი ფირმის: შიდა ხარისხის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობას; პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას; გლობალური აუდიტისა და მარწმუნებელი პოლიტიკებისა და პროცედურების შესრულებას; და სხვა რისკზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხის უზრუნველყოფასთან.

როგორც წესი, თითოეული წევრი ფირმა გადის GTAR-ის მიმოხილვას სამწლიანი ციკლით. ინსპექტირებებს ატარებენ სხვა წევრი ფირმების დამოუკიდებელი და კვალიფიცირებული პარტნიორები და მენეჯერები, გლობალური აუდიტის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. GTIL-ის გლობალური მონიტორინგის სისტემა აძლიერებს მოთხოვნას, რომ ყველა წევრ ფირმას უნდა გააჩნდეს ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სწორი ადამიანები, სწორი ინსტრუმენტებითა და სწორი მეთოდოლოგიის გამოყენებით ახორციელებდნენ აუდიტის პროცესს, ხარისხის მაღალი სტანდარტების სრული დაცვით.

GTAR (Grant Thornton Assurance Review) პროგრამა აფასებს, რამდენად აკმაყოფილებენ წევრი ფირმები გლობალურ სტანდარტებსა და ხარისხის მოთხოვნებს.

შეფასება მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- პროფესიული აუდიტისა და მარწმუნებელი სტანდარტების შესაბამისობა;
- გლობალური აუდიტისა და მარწმუნებელი მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც მინიმუმ უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო აუდიტის სტანდარტებს (ISA);
- აუდიტორული ანგარიშების შესაბამისობა გარემოებებთან და მტკიცებულებებთან;
- საერთაშორისო ეთიკისა და ხარისხის მართვის პოლიტიკების დაცვა;
- აუდიტის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დაცვა;
- ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის დიზაინი და განხორციელება;
- სიღრმისეული მიზეზების იდენტიფიცირება (Root Cause Analysis) მნიშვნელოვანი შენიშვნების შემთხვევაში;
- წინა ინსპექტირებიდან მომდინარე სამოქმედო გეგმების შესრულება;
- გლობალური რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების შესრულება.

შპს გრანთ თორნთონისთვის ბოლო GTAR-ის შემოწმება დასრულდა 2025 წლის სექტემბერში. შემოწმების შედეგად, ფირმის აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც „შესაბამისად შემუშავებული და განხორციელებული“, რაც იძლევა გონივრულ რწმუნებას, რომ ფირმა სრულად იცავს მოქმედ პროფესიულ სტანდარტებსა და GTIL-ის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტით.

SARAS - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

SARAS აქტიურად ახორციელებს აუდიტორული პროფესიის მონიტორინგს საქართველოში, მათ შორის ხარისხის პერიოდულ შემოწმებებს — სდპ აუდიტორებისთვის ყოველ 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო დანარჩენი აუდიტორებისთვის — ყოველ 6 წელიწადში ერთხელ.

შპს გრანთ თორნთონმა SARAS-ის რეგულარული შემოწმებები უკვე გაიარა სამჯერ — 2017, 2020 და 2023 წლებში, და წარმატებით შეინარჩუნა სდპ აუდიტორული ფირმის სტატუსი. 2026 წელს მიმდინარეობს კომპანიის რიგით მეოთხე მონიტორინგი.

ამჟამად ფირმა არის მხოლოდ 15 ფირმიდან ერთ-ერთი საქართველოში, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია (სულ ქვეყანაში რეგისტრირებულია 260-ზე მეტი აუდიტორული კომპანია).

SARAS ახორციელებს აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრის მართვას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე: https://www.saras.gov.ge/en/Companies

აუდიტორული ფირმები SARAS-ის მიერ იყოფა კატეგორიებად, რაც ეფუძნება ხარისხის შემოწმების შედეგებს. სხვადასხვა კატეგორიას განსხვავებული უფლებამოსილება აქვს.

2024 წლის ივნისამდე საქართველოში მოქმედებდა აუდიტორული ფირმების ხუთსაფეხურიანი კლასიფიკაცია, თუმცა აღნიშნულ თვეში შეიცვალა კატეგორიზაციის პრინციპები და ახლა განისაზღვრება მხოლოდ სამი კატეგორია: სდპ აუდიტორული ფირმები; სავალდებულო აუდიტის ფირმები; სხვა — არასავალდებულო აუდიტის ფირმები.

შპს გრანთ თორნთონი ამჟამად მიეკუთვნება სდპ აუდიტორული ფირმების კატეგორიას.

ჩვენ ვრჩებით ერთგულნი ხარისხის მართვის სისტემების მუდმივი გაუმჯობესებისადმი, რაც მოიცავს აუდიტის ხარისხის მონიტორინგს, პოლიტიკებისა და პრაქტიკის განახლებას და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

გამოსასწორებელი ქმედებები და ძირეული მიზეზების ანალიზი

თუ შიდა ან გარე მონიტორინგის შედეგად გამოვლინდება ხარვეზები, ფირმა განსაზღვრავს შესაბამის გამოსასწორებელ ქმედებებს. საჭიროების შემთხვევაში ტარდება ძირეული მიზეზების ანალიზი, რათა გამოვლინდეს ხარვეზის გამომწვევი მიზეზები და შემცირდეს მათი განმეორების რისკი.

გამოსასწორებელი ქმედებები შეიძლება მოიცავდეს:

- დამატებით ტრენინგებს;
- მეთოდოლოგიის ან შიდა ინსტრუქციების განახლებას;
- აუდიტის ფაილების დოკუმენტირების გაუმჯობესებას;
- კონსულტაციის მოთხოვნების გაძლიერებას;
- შიდა კონტროლის ან მიმოხილვის პროცედურების გაძლიერებას;
- გარიგების გუნდებისთვის მიზნობრივი უკუკავშირის მიწოდებას.

ფირმა მონიტორინგს უწევს გამოსასწორებელი ქმედებების შესრულებას და აფასებს მათ ეფექტიანობას.

ეთიკა და დამოუკიდებლობა

ფირმის დონეზე ეთიკის, დამოუკიდებლობის, ასევე კლიენტებისა და გარიგებების მიღებისა და გაგრძელების პროცესების მართვა Grant Thornton-ის სტრატეგიისა და ხარისხის მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია.

აუდიტის რისკისა და ხარისხის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს აუდიტის ფირმის რისკის მართვას და პასუხისმგებელია რისკების მიმდინარე იდენტიფიცირებაზე ფირმისა და მისი გარიგებების ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, როგორც ეს ამ ანგარიშის ხარისხის ნაწილშია აღწერილი.

რისკების გამოვლენის შემდეგ ხორციელდება გამოსწორება და მუშავდება პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს აღნიშნული რისკების მართვას და რისკის მართვის პრაქტიკების ინტეგრირებას ფირმის მომსახურების მიმართულებებსა და ოპერაციულ ფუნქციებში.

ჩვენი ეთიკის, დამოუკიდებლობისა და მიღების პოლიტიკები და პროცედურები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- დამოუკიდებლობა;
- კლიენტის მიღება;
- კლიენტის ხელახალი მიღება; და
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პროცედურები.

ეთიკა და დამოუკიდებლობა

GTIL-ს აქვს ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც მოიცავს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიისა (US SEC) და PCAOB-ის მოთხოვნებს. ეს პოლიტიკები და პროცედურები შექმნილია დამოუკიდებლობის დასაცავად და ისეთი გარემოებების იდენტიფიცირებისთვის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დამოუკიდებლობის პოტენციური დარღვევა ან ინტერესთა კონფლიქტი ქსელის მასშტაბით. GTIL-ის გუნდი მუდმივად განიხილავს ყველა პოლიტიკასა და პროცესს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი სათანადოდ იცავს დამოუკიდებლობის წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობის რისკისგან.

აღნიშნული პოლიტიკები ადგილობრივი პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად საჭიროებისამებრ იცვლება ან ივსება, რათა გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნებით, მათ შორის SARAS-ის მოთხოვნებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

ფირმის ეთიკისა და ხარისხის მართვის სახელმძღვანელო ამ პოლიტიკებსა და პროცედურებს ფირმის პერსონალს აწვდის. ისინი მყარდება ტრენინგებითა და კომუნიკაციით ყოველწლიურად ან ცვლილებების განხორციელებისას. შემდეგ ფირმის პერსონალი ყოველწლიურად ადასტურებს მათ გაგებასა და დაცვას დამოუკიდებლობისა და შესაბამისობის დადასტურებების მიღების გზით.

ჩვენი ადამიანების შთაგონება ეთიკისა და დამოუკიდებლობის სტანდარტების შესასრულებლად იწყება ზემოდან. პარტნიორები აცნობიერებენ, რომ მათი ქცევა გადამწყვეტია ჩვენი ძლიერი ეთიკური გარემოსა და კულტურის შესანარჩუნებლად.

ჩვენი ეთიკური გარემოს მხარდასაჭერად დანერგილი ხარისხის მართვის სისტემები რეგულარულად მონიტორინგდება ფირმის ძლიერი მონიტორინგისა და გამოსწორების პროცესის ფარგლებში, როგორც ეს ამ ანგარიშის ხარისხის ნაწილშია აღწერილი.

ყველა პარტნიორი, დირექტორი და მენეჯერი Global Independence System-ში (GIS) რეალურ დროში ინახავს საჯაროდ ფასიანი ქაღალდების ფინანსური ინტერესების ჩანაწერს, ხოლო ეთიკისა და დამოუკიდებლობის გუნდი უზრუნველყოფს პოტენციური კონფლიქტების გამოვლენასა და მოგვარებას მათი წარმოშობისთანავე.

ურთიერთობების შემოწმება

ობიექტურობისა და აზროვნების დამოუკიდებლობის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია ჩვენი რეპუტაციის დასაცავად. გვაქვს დამოუკიდებლობისა და კონფლიქტების შემოწმების ძლიერი სისტემა, რომელიც შექმნილია პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად და სათანადოდ მოსაგვარებლად. პოტენციური კონფლიქტის წყაროები მოიცავს არსებული აუდიტის კლიენტებისთვის დამატებითი მომსახურებების გაწევას, ახალი კლიენტების მიღებას, ფირმისა და თანამშრომლების ინვესტიციებს.

აუდიტისა და მსგავსი გარიგებებისთვის, სადაც დამოუკიდებლობა საჯარო ინტერესის საკითხია, ჩვენი პროცედურები კიდევ უფრო მკაცრია. ვუზრუნველყოფთ, რომ პარტნიორებმა ახალი აუდიტის კლიენტებთან მუშაობის დაწყებამდე შეამოწმონ, იყო თუ არა გაწეული სხვა მომსახურებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენს დამოუკიდებლობაზე. გარიგების გუნდმა ასევე უნდა დაადასტუროს დამოუკიდებლობა თითოეული აუდიტის ფაილზე.

ყველა საჯაროდ კოტირებული კლიენტისთვის აუდიტის კომიტეტს ვუცხადებთ სხვა გაწეულ მომსახურებებს დაგეგმვისა და დასკვნით ეტაპებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, GTIL ასევე მოითხოვს წევრი ფირმებისგან პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვას ყველა წევრი ფირმის დამოუკიდებლობის დასაცავად.

ეს პოლიტიკები და პროცედურები მოიცავს მოთხოვნას, რომ წევრმა ფირმებმა აწარმოონ იმ კომპანიების სია, რომლებიც აუდიტის ურთიერთობის გამო „შეზღუდულად“ მიიჩნევა. აღნიშნული შეზღუდული კომპანიების დეტალები ინახება გლობალურ შეზღუდულ სიაში GTIL-ის მიერ მხარდაჭერილი სისტემის მეშვეობით.

წევრი ფირმების პროფესიულ პერსონალს ამ სიაზე წვდომა აქვს GTIL-ის ინტრანეტზე. იგი წარმოადგენს საცნობარო წყაროს იმ წევრი ფირმებისთვის, რომლებიც საჯარო კომპანიებისთვის არააუდიტორული მომსახურებების გაწევას განიხილავენ.

თუ პოტენციური კლიენტი ფიგურირებს გლობალურ შეზღუდულ სიაში, საჭიროა აუდიტის პარტნიორთან კონსულტაცია, რათა დადგინდეს, შეიძლება თუ არა შემოთავაზებული არააუდიტორული მომსახურებით შექმნილი დამოუკიდებლობის საფრთხეების სათანადო მართვა და არის თუ არა ეს არააუდიტორული მომსახურება ნებადართული. GTIL რეგულარულად განიხილავს და ანახლებს გლობალურ შეზღუდულ სიას.

ფინანსური ინტერესთა კონფლიქტები

GTIL-მა ასევე დანერგა დამოუკიდებლობის ავტომატიზებული მონიტორინგის სისტემა — Global Independence System (GIS). პარტნიორებმა, დირექტორებმა და მენეჯერებმა GIS-ში უნდა აწარმოონ იმ საჯაროდ კოტირებული ფინანსური ინტერესების პორტფელი, რომლებშიც მათ ინვესტიცია აქვთ.

GIS ამ საჯაროდ კოტირებულ ფინანსურ ინტერესებს ადარებს გლობალურ შეზღუდულ სიას. სისტემა შექმნილია ისე, რომ გაფრთხილება გაუგზავნოს წევრ ფირმას ან ინდივიდუალურ პროფესიონალს და ეროვნულ შესაბამისობის ოფიცერს, თუ ფლობაში არსებული საჯაროდ კოტირებული ფინანსური ინტერესი ასევე ფიგურირებს გლობალურ შეზღუდულ სიაში. ეს ინდივიდსა და ადგილობრივ ეთიკისა და დამოუკიდებლობის გუნდს ეხმარება ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე გადაწყვიტონ, შეუძლია თუ არა პირს აღნიშნული ფინანსური ინტერესის შენარჩუნება.

კლიენტის მიღება და ურთიერთობის გაგრძელება

ჩვენი ყველა აუდიტის კლიენტი ექვემდებარება კატეგორიზაციის პოლიტიკებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი რისკის მართვის პროცედურების გამოყენება. აღნიშნულ კატეგორიზაციას ვიყენებთ ძირითადი პროცედურების განსაზღვრისთვის, მათ შორის:

- გარკვეული ახალი კლიენტების მიღებამდე და მათთან ურთიერთობის გაგრძელებამდე GTIL-თან სპეციფიკური კონსულტაციისა და თანხმობის მიღების მოთხოვნა;
- გარკვეული ახალი კლიენტების მიღებამდე და მათთან ურთიერთობის გაგრძელებამდე მარწმუნებელი გარიგების დამტკიცება;
- აუდიტის პარტნიორისა და ადგილზე სამუშაო ჯგუფის როლების დაკომპლექტების საჭიროება შესაბამისი გამოცდილების მქონე გუნდის წევრებით;
- გარკვეული კატეგორიის აუდიტებისთვის სათანადო გამოცდილების მქონე მიმოხილვის პარტნიორის დანიშვნის საჭიროება;
- გარკვეული კატეგორიის აუდიტებისთვის ტექნიკური მიმოხილვის მოთხოვნა.

ჩვენ კლიენტებთან ურთიერთობას ვიწყებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს საკმარისი რესურსი, უნარები და გამოცდილება, რათა უზრუნველვყოთ მომსახურებისა და ზრუნვის მაქსიმალურად მაღალი სტანდარტი და დავაკმაყოფილოთ კლიენტის მოლოდინები. უნდა შევძლოთ იმის უზრუნველყოფა, რომ კლიენტის მიღება არ დააზიანებს ჩვენს დამოუკიდებლობას, ობიექტურობას ან კეთილსინდისიერებას. აღნიშნულს ვაფასებთ თითოეული კლიენტის პირველად მიღების ეტაპზე, დავალების გუნდებთან ერთად.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტებისა და/ან დამოუკიდებლობის მიმართ საფრთხეების მიმოხილვა დავალების შეთავაზებამდე, ერთობლივად მოხსენიებული როგორც „ურთიერთობების შემოწმება“, წარმოადგენს მნიშვნელოვან დამცავ მექანიზმს ობიექტურობის მიმართ საფრთხეების წინააღმდეგ.

GTIL-მა დანერგა პოლიტიკა, რომელიც ადგენს სტანდარტიზებულ მიდგომას პოტენციური ურთიერთობების შესამოწმებლად იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტს ან პოტენციურ კლიენტს აქვს საერთაშორისო ოპერაციები. ეს ასევე ასახულია წევრი ფირმების ვალდებულებებში.

ფირმას ყველა მომსახურების მიმართულებაში დანერგილი აქვს ხარისხის მართვის ძლიერი სისტემა, რათა უზრუნველყოს თითოეული კლიენტის დავალების შესრულება პროფესიული და ტექნიკური სრულყოფილების თანმიმდევრულად მაღალი სტანდარტებით.

გარიგების მიღება და ურთიერთობის გაგრძელება

თითოეულ აუდიტისა და მარწმუნებელ გარიგებას ვანიჭებთ კატეგორიას რისკის, სირთულისა და სპეციალიზებული გამოცდილების საჭიროების მიხედვით. აღნიშნულ კატეგორიზაციას ვიყენებთ შესაბამისი ხარისხის მართვის პროცედურების განსაზღვრისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ფირმის დარგობრივი სპეციალისტების ჩასართავად.

ჩვენი ცენტრალიზებული კლიენტის მიღების გუნდი უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალი პოტენციური კლიენტისა და ახალი გარიგების მიმართ დაცული და დოკუმენტირებული იყოს ჩვენი მკაცრი მიღებისა და ურთიერთობის გაგრძელების პროცესები.

ნებისმიერი დანიშვნის მიღებამდე, შესაბამისმა გარიგების პარტნიორმა და, გარკვეულ შემთხვევებში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის ხელმძღვანელმა და/ან რისკისა და ხარისხის ხელმძღვანელმა უნდა დაამტკიცონ იგი. თუ გამოვლინდება მაღალი რისკის სპეციფიკური ინდიკატორები, დანიშვნა ასევე უნდა დაამტკიცოს კლიენტის მიღების ხელმძღვანელმა და, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის მიღების კომიტეტმა. გარკვეულ მაღალი რისკის სცენარებში, როდესაც დაკმაყოფილებულია სპეციფიკური კრიტერიუმები, საჭიროა GTIL-ის ძირითადი გარიგების მიღების თანხმობა.

ძირითადი აუდიტის პარტნიორებისა და პერსონალის როტაცია

Grant Thornton-ს გააჩნია პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება ჩვენს დავალებებზე მოქმედ ეთიკური სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

ეს მოთხოვნები ზღუდავს იმ ზედიზედ წლების რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც პარტნიორებსა და დავალების გუნდის სხვა ძირითად წევრებს შეუძლიათ აუდიტში მონაწილეობა. დავალების ხელმძღვანელები და აუდიტებზე პასუხისმგებელი სხვა უფროსი გუნდის წევრები ვალდებულნი არიან, განსაზღვრული პერიოდის შემდეგ ჩამოშორდნენ დავალებას. ეს პერიოდები დამოკიდებულია მათ როლსა და სუბიექტის ტიპზე.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირები და სხვა კოტირებული სუბიექტები

- აუდიტის გარიგების პარტნიორისა და ძირითადი აუდიტის პარტნიორის ვადა შეადგენს 7 წელს. ყველა ასეთი როტაციის შემდეგ მოქმედებს 5 წლიანი შესვენების პერიოდი.
- გარიგების ხარისხის მიმოხილვის პარტნიორის ვადა განისაზღვრება 7 წლით. ყველა ასეთი როტაციის შემდეგ მოქმედებს 3 წლიანი შესვენების პერიოდი.

ყველა სხვა სუბიექტი

- ყველა სხვა სუბიექტისთვის აუდიტის გარიგების პარტნიორისა და ძირითადი აუდიტის პარტნიორის ვადა შეადგენს 10 წელს. ყველა ასეთი როტაციის შემდეგ მოქმედებს 5 წლიანი შესვენების პერიოდი.
- გარიგების ხარისხის მიმოხილვის პარტნიორის ვადა განისაზღვრება 10 წლით. ყველა ასეთი როტაციის შემდეგ მოქმედებს 3 წლიანი შესვენების პერიოდი.

ადამიანები და კულტურა

ჩვენი ადამიანები

შპს გრანთ თორნთონი არის ხარისხზე ორიენტირებული, ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი და ადამიანზე ორიენტირებული ორგანიზაცია. გვჯერა, რომ მდგრადი აუდიტის ხარისხი ეფუძნება მუდმივ ინვესტირებას ჩვენს ადამიანებში, მათ კეთილდღეობასა და განვითარებაში, ასევე ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებას აუდიტის შესრულების გასაუმჯობესებლად, რაც ხელს უწყობს თანმიმდევრულ პროფესიულ განსჯას, მტკიცე გამოწვევას და ეფექტიან აუდიტის განხორციელებას.

შპს გრანთ თორნთონში დასაქმებულია 100-ზე მეტი პროფესიონალი.

ღირებულებები

ჩვენი ძირითადი ღირებულებები - კეთილსინდისიერება, თანამშრომლობა, ენთუზიაზმი, რეალისტურობა და სიამოვნებით მუშაობა - ჩვენი კულტურის ფუნდამენტია და განსაზღვრავს, როგორ ვმოქმედებთ როგორც ფირმა. ისინი აყალიბებს ჩვენს ქცევებს, განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და ეხმიანება ჩვენს ადამიანებს, უზრუნველყოფს მკაფიო და თანმიმდევრულ ჩარჩოს იმისთვის, თუ როგორ ვმუშაობთ Grant Thornton-ში.



ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება

მაღალი ხარისხის ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება ფირმის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება და პროფესიული მომსახურების სექტორში კვლავ ფართო გამოწვევას წარმოადგენს. ჩვენი სამუშაო ძალა ასახავს მრავალფეროვან ეროვნებებს, რაც ადასტურებს ჩვენს მუდმივ ერთგულებას ინკლუზიური რეკრუტირებისადმი და ბარიერების მოხსნისადმი დასაქმების, განვითარების და კარიერული წინსვლის ყველა ეტაპზე.

ჩვენ განვაგრძობთ თანამშრომელთა გამოცდილების გაუმჯობესებას და ყურადღებას ვამახვილებთ პოზიტიური და თანმიმდევრული გზის უზრუნველყოფაზე საწყისი განაცხადიდან, შემდგომში ონბორდინგამდე და ინდივიდის მთელი კარიერის განმავლობაში. ინკლუზიური რეკრუტირების პრაქტიკა ჩაშენებულია ჩვენს პროცესებში, მათ შორის გენდერულად დაბალანსებული ინტერვიუს პანელები, სტრუქტურირებული შეფასების მეთოდები და ინტერვიუერების ყოვლისმომცველი ტრენინგი, რაც მიზნად ისახავს სამართლიანი და ობიექტური დაქირავების გადაწყვეტილებების მხარდაჭერას.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს ადამიანებს მივაწოდოთ ის ინსტრუმენტები, ტრენინგი და რესურსები, რომლებიც მათ საუკეთესო შედეგების მისაღწევად სჭირდებათ. ჩვენი შენარჩუნების მიდგომა მოიცავს კონკურენტულ და სამართლიან ანაზღაურებას, მოქნილ და თანამედროვე სამუშაო მოდელს, კეთილდღეობის ყოვლისმომცველ მხარდაჭერას, კარიერული წინსვლის მკაფიო გზებს და კულტურას, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიასა და კუთვნილების განცდას.

მოქნილი მუშაობა და თანამშრომელთა კეთილდღეობა

მუშაობის წესი მუდმივად ვითარდება, რაც განპირობებულია ცვალებადი გარე გარემოთი და მოწინავე ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის, მზარდი გამოყენებით.

ამის საპასუხოდ, ფირმამ დანერგა ჰიბრიდული სამუშაო მოდელი და მიიღო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ციფრული პრიორიტეტის მქონე მიდგომა მომსახურების მიწოდებაში. გვესმის ის გამოწვევები, რომლებიც ამ ევოლუციას შეიძლება ახლდეს, და მნიშვნელოვან ყურადღებას ვუთმობთ თანამშრომელთა უკუკავშირის მოსმენას. ამ მოსაზრებებს ვიყენებთ ჩვენი მიდგომის მუდმივად გასაუმჯობესებლად, რათა იგი შეესაბამებოდეს ჩვენი ადამიანების საჭიროებებსა და მოლოდინებს.

სწავლება და განვითარება

შპს გრანთ თორნთონი ინარჩუნებს ძლიერ ერთგულებას უწყვეტი სწავლებისა და განვითარებისადმი, როგორც აუდიტის ხარისხის, პროფესიული კომპეტენციისა და ორგანიზაციული სრულყოფილების ფუნდამენტური ხელშემწყობი ფაქტორისადმი. ჩვენი მიდგომა უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ ტექნიკურ ტრენინგს, სამუშაო პროცესში მიღებულ გამოცდილებას და სისტემებზე დაფუძნებულ სწავლებას, რათა ყველა თანამშრომელმა შეიძინოს ის ტექნიკური ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც საჭიროა მაღალი ხარისხის შედეგების შესანარჩუნებლად მუდმივად ცვალებად მარეგულირებელ გარემოში. ეს მიდგომა ეფუძნება საჭიროებების დეტალურ ანალიზს და მომსახურების მიმართულებებთან რეგულარულ ურთიერთობას.

თანამშრომლებს აქვთ წვდომა სასწავლო რესურსების ფართო სპექტრზე, რომლებიც ხელს უწყობს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და მაღალი ხარისხის აუდიტების განხორციელებას. ტექნიკური და აუდიტთან დაკავშირებული სწავლება ჩაშენებულია კარიერის ყველა ეტაპზე და შეესაბამება აუდიტის მეთოდოლოგიას, პროფესიულ სტანდარტებსა და მარეგულირებელ მოლოდინებს. რადგან აუდიტის გარემო სულ უფრო მეტად ხდება ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ჩვენი სასწავლო პროგრამები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ციფრულ შესაძლებლობებზე, მათ შორის ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი აუდიტის ინსტრუმენტების, მონაცემთა ანალიტიკის პლატფორმებისა და განვითარებადი AI აპლიკაციების ეფექტიან გამოყენებაზე, რომლებიც აუმჯობესებს აუდიტის ხარისხსა და ეფექტიანობას. ეს მოიცავს მიზნობრივ ტრენინგებს აუდიტის სტანდარტებზე, ფინანსური ანგარიშგების განვითარებებზე, კომპანიების სამართალზე, ეთიკაზე, აუდიტის საკითხებზე, სექტორულ მოთხოვნებსა და ხარისხის მართვის სტანდარტებზე. ეს ინტეგრირებული, ციფრულად ორიენტირებული მიდგომა აძლიერებს როგორც ტექნიკურ, ისე AI-ით მხარდაჭერილ შესაძლებლობებს ჩვენს აუდიტის გუნდებში.

Grant Thornton-ის გლობალური კომპეტენციების ჩარჩო საფუძვლად უდევს სწავლებისა და განვითარების ყველა აქტივობას. იგი განსაზღვრავს მკაფიო შესრულების მოლოდინებს, ადგენს თითოეულ კარიერულ ეტაპზე საჭირო უნარებსა და ქცევებს და ეხმარება თანამშრომლებს შესაბამისი განვითარების ქმედებების იდენტიფიცირებაში.

ფირმა ასევე ერთგულია საოპერაციო, ადმინისტრაციული და არამენეჯერული როლების მქონე თანამშრომელთა განვითარებისადმი. ამ ფუნქციებისთვის განკუთვნილი პირადი განვითარების უნარების პროგრამები უზრუნველყოფს უწყვეტი განვითარების შესაძლებლობებს.

შესრულების მართვის პროცესებს მხარს უჭერს ფირმის ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და თანმიმდევრულ ჩარჩოს მიზნების დასახვის, პროგრესის განხილვისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ჩვენმა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების პერსონალმა გაიარა დაახლოებით 2,000 საათი ტრენინგი, საშუალოდ 80 საათი თითოეულ თანამშრომელზე.

“აუდიტის ხარისხს განსაზღვრავს არა მხოლოდ ძლიერი მეთოდოლოგია და მტკიცე მმართველობა, არამედ ჩვენი ადამიანების შესაძლებლობები, განსჯა და ქცევები. ტრენინგში, შესრულების მართვასა და ანგარიშვალდებულებისა და თანამშრომლობის წამახალისებელ კულტურაში მუდმივი ინვესტირებით, ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს ადამიანებს, რათა მათ საუკეთესო შედეგები აჩვენონ და ყველა აუდიტის დავალებაზე დაიცვან ხარისხის უმაღლესი სტანდარტები.”

თანამშრომელთა ჩართულობა

ჩვენი ადამიანების სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია თანამშრომელთა ძლიერი და მნიშვნელოვანი ჩართულობის პროგრამის შენარჩუნება. ყოველწლიურად ვატარებთ თანამშრომელთა გამოკითხვას, რომელიც ზომავს Employee Net Promoter Score-ს (eNPS) და თანამშრომელთა საერთო განწყობას, ასევე ასახავს, რამდენად სავარაუდოა, რომ ჩვენი ადამიანები Grant Thornton-ს სამუშაო ადგილად რეკომენდაციას გაუწევენ. ამ გამოკითხვის შედეგად მიღებული მიგნებები გვაძლევს მკაფიო სურათს იმის შესახებ, თუ რა მუშაობს კარგად და სად შეგვიძლია გავაძლიეროთ თანამშრომელთა გამოცდილება, რაც უშუალოდ აყალიბებს ჩვენი ადამიანების პრიორიტეტებს მომავალი წლისთვის. ამ უკუკავშირს ვიყენებთ ჩვენი სამუშაო პრაქტიკის მუდმივად დახვეწისთვის, რათა ჩვენი მიდგომა განვითარდეს ჩვენი ადამიანების საჭიროებებისა და მოლოდინების შესაბამისად და ამავდროულად მხარი დაუჭიროს მაღალი ხარისხის შედეგებს ჩვენი კლიენტებისთვის.

ჩვენი ადამიანები ცენტრალურ როლს ასრულებენ თანმიმდევრულად მაღალი ხარისხის აუდიტების მიწოდებასა და იმ ნდობის შენარჩუნებაში, რომელსაც ჩვენდამი იჩენენ კლიენტები, მარეგულირებლები და უფრო ფართო დაინტერესებული მხარეები.

მომავალზე ორიენტირებულად, ფირმა გააგრძელებს ადამიანებისა და კულტურის პრიორიტეტების განვითარებას, რათა მხარი დაუჭიროს აუდიტის ხარისხს ცვალებად საოპერაციო გარემოში. ეს მოიცავს მემკვიდრეობისა და ლიდერობის შესაძლებლობების გაძლიერებას, ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სამუშაო მეთოდების კიდევ უფრო ღრმად დანერგვას და იმის უზრუნველყოფას, რომ ჩვენი სასწავლო პროგრამები კვლავ აღჭურვავს ჩვენს ადამიანებს იმ უნარებითა და განსჯით, რომლებიც საჭიროა მაღალი ხარისხის აუდიტების თანმიმდევრულად შესასრულებლად.

აუდიტის ტექნოლოგიები

გლობალური აუდიტის ტექნოლოგია: LEAP პლატფორმა

LEAP არის Grant Thornton-ის გლობალური, ღრუბელზე დაფუძნებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების პლატფორმა, რომელიც გამოიყენება აუდიტის გარიგებების დაგეგმვის, შესრულების, დასრულებისა და არქივირების პროცესში.

პლატფორმა ეფუძნება Grant Thornton-ის გლობალურ აუდიტის მეთოდოლოგიას და ხელს უწყობს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის, თანმიმდევრულ და ხარისხიან აუდიტორულ მუშაობას. LEAP უზრუნველყოფს როგორც რთული და მასშტაბური, ისე შედარებით ნაკლებად რთული აუდიტების ეფექტიან შესრულებას.

შპს გრანთ თორნთონი იყენებს LEAP მეთოდოლოგიასა და პლატფორმას აუდიტორულ გარიგებებზე, რაც ხელს უწყობს აუდიტის პროცესის სტანდარტიზაციას, დოკუმენტირების ხარისხის გაუმჯობესებას და გლობალური მეთოდოლოგიის თანმიმდევრულ გამოყენებას.

LEAP-ის ძირითადი უპირატესობებია:

ხარისხის გაუმჯობესება

LEAP ხელს უწყობს Grant Thornton-ის გლობალური აუდიტის მეთოდოლოგიის თანმიმდევრულ გამოყენებას და აუდიტის პროცესზე ეფექტიან ზედამხედველობას.

- აუდიტის გარიგებების მიმდინარე და დასრულების შემდგომი მონიტორინგი;
- მეთოდოლოგიის დროული განახლებების გამოყენება;
- აუდიტის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მხარდაჭერაი

შესრულების გაუმჯობესება

LEAP უზრუნველყოფს აუდიტის პროცესის უფრო ეფექტიან მართვას უსაფრთხო და სანდო ღრუბლოვანი პლატფორმის მეშვეობით.

- მასშტაბირებადი არქიტექტურა სხვადასხვა ზომისა და სირთულის აუდიტისთვის;
- აუდიტის გუნდებისთვის ადმინისტრაციული დატვირთვის შემცირება;
- მეთოდოლოგიური განახლებებისა და ახალი ფუნქციონალის ინტეგრაციის შესაძლებლობა.

გამოცდილების გამდიდრება

LEAP ხელს უწყობს აუდიტის გუნდებისა და კლიენტებისთვის უფრო თანმიმდევრული და გამჭვირვალე სამუშაო პროცესის შექმნას.

- გაუმჯობესებული მომხმარებლის ინტერფეისი და ნავიგაცია;
- ტრანსსასაზღვრო აუდიტების შესრულების მხარდაჭერა;
- კლიენტის ბიზნესისა და აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ უფრო ღრმა ანალიზის შესაძლებლობა.

მდგრადობა

მდგრადობა შპს გრანთ თორნთონის საქმიანობისა და ფირმის მიერ გრძელვადიანი ღირებულების შექმნის განუყოფელი ნაწილია. ორგანიზაციის ზრდის პარალელურად, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მხარს უჭერს ჩვენს თანამშრომლებს, აძლიერებს კლიენტების ნდობას და პოზიტიურ გავლენას ახდენს იმ საზოგადოებებზე, სადაც ვმუშაობთ.

ყოვლისმომცველი და ჰოლისტიკური მდგრადობის სტრატეგიით ხელმძღვანელობის პირობებში, ჩვენ ყოველდღიურ საქმიანობაში ვნერგავთ პასუხისმგებლიან პრაქტიკებს. ეს ჩარჩო აგებულია ოთხ საყრდენზე — გარემო, საზოგადოება, ადამიანები და მმართველობა — და შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ჩვენი ქმედებები იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, თანმიმდევრული და მიმართული მნიშვნელოვანი გავლენის სფეროებისკენ.

2025 წლის განმავლობაში ჩვენ განვაგრძეთ შიდა შესაძლებლობების გაძლიერება, მდგრადობასთან დაკავშირებული მომსახურებების გაფართოება და მონაცემებისა და სისტემების გაუმჯობესება, რომლებიც საშუალებას გვაძლევს პროგრესს დავაკვირდეთ. მდგრადობა გახდა ძირითადი მოლოდინი კლიენტებისთვის, რეგულატორებისთვის, ტალანტებისთვის და ფართო დაინტერესებული მხარეებისთვის, და ჩვენ ვრჩებით მის განვითარებაზე ორიენტირებული ჩვენი კულტურის, მმართველობისა და საოპერაციო პრაქტიკის მასშტაბით.

მდგრადობის ინტეგრირება ჩვენს საქმიანობაში

შპს გრანთ თორნთონისთვის მდგრადობა მოიცავს პასუხისმგებლიან მმართველობას, ეთიკურ ქცევას, თანამშრომლების განვითარებას, კლიენტების ნდობის გაძლიერებას და ჩვენი საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის გათვალისწინებას. 2025 წლის განმავლობაში ჩვენ განვაგრძეთ მდგრადობის პრინციპების ინტეგრირება ყოველდღიურ საქმიანობაში, მათ შორის ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების, ქაღალდზე დამოკიდებულების შემცირების, პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და ESG-სთან დაკავშირებულ საკითხებზე კლიენტებთან დიალოგის გზით.

კლიენტების მხარდაჭერა

მდგრადობაზე ჩართულობა ჩვენს შიდა ოპერაციებს სცდება და ვრცელდება კლიენტებსა და საზოგადოებებზე, რაც ასახავს ჩვენს შეხედულებას, რომ მდგრადობა საერთო პასუხისმგებლობაა და თანამშრომლობასა და დიალოგს მოითხოვს.

ჩვენი მდგრადობის საკონსულტაციო და ESG მარწმუნებელი მომსახურების გუნდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზაციების მხარდაჭერაში, როდესაც ისინი პასუხობენ მდგრადობისა და რეგულატორული მოლოდინების განვითარებას. ისეთი მომსახურებების მეშვეობით, როგორიცაა მდგრადობის სტრატეგიის განვითარება, ESG ანგარიშგება, კლიმატის რისკის შეფასება და CSRD მზადყოფნა, ჩვენ კლიენტებს ვეხმარებით ESG მოსაზრებების გადაწყვეტილებების მიღებასა და ოპერაციებში ინტეგრირებაში.

ეს ჩართულობა მხარდაჭერილია ჩვენი ვებგვერდის, ციფრული არხებისა და ინდუსტრიული ფორუმების მეშვეობით. მდგრადობასთან დაკავშირებულ თემებზე ინფორმირებულ განხილვაში წვლილის შეტანით, ჩვენ ხელს ვუწყობთ გამჭვირვალობას, ვუზიარებთ პრაქტიკულ მიგნებებს და სხვადასხვა სექტორის კლიენტებს ვეხმარებით სირთულეების მართვაში.

.

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური ინფორმაცია

2025 წელი შპს გრანთ თორნთონისთვის მნიშვნელოვანი ზრდისა და ბაზარზე პოზიციების გამყარების წელი იყო.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული არასტაბილური გარემოსა, კომპანიამ შეძლო არა მხოლოდ არსებული საბაზრო პოზიციების შენარჩუნება, არამედ მათი შემდგომი განმტკიცებაც. საანგარიშგებო პერიოდში შპს გრანთ თორნთონმა, საქართველოში, აუდიტორული კომპანიების რეიტინგში კვლავ მეშვიდე ადგილი შეინარჩუნა. აღნიშნული შედეგი განპირობებული იყო სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებებით, მომსახურების ხარისხზე მუდმივი ფოკუსითა და თანამშრომლების მაღალი პროფესიონალიზმით.

2025 წელს კომპანიის ჯამურმა შემოსავალმა 6,856,816 ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 25%-იან ზრდას წარმოადგენს. შემოსავლების ზრდა ასახავს კომპანიის განვითარების პოზიტიურ დინამიკას და დაკავშირებულია როგორც არსებულ კლიენტებთან თანამშრომლობის გაღრმავებასთან, ისე ახალ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან კლიენტებთან გაფორმებულ კონტრაქტებთან.

შემოსავლის სტრუქტურა მომსახურების მიმართულებების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მომსახურების მიმართულება	2024 წელი (ლარი)	2025 წელი (ლარი)
აუდიტი	1,917,099	2,093,037
სხვა მომსახურებები	3,577,395	4,763,779
სულ	**5,494,494**	**6,856,816**

აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტირებული სუბიექტისათვის, მისი მშობელი საწარმოსათვის ან მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმოსათვის, კანონის შესაბამისად დაშვებული, არააუდიტორული მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები

2025 წელს აუდიტირებული სუბიექტებისათვის გაწეული არააუდიტორული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 178,677 ლარი, რაც მთლიანი აუდიტორული მომსახურების შემოსავლების 8.5%-ს წარმოადგენს.

პარტნიორთა ანაზღაურების საფუძველი

პარტნიორთა ანაზღაურება განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის ფინანსური შედეგების, კლიენტების პორტფელის, მმართველობითი პასუხისმგებლობებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის საფუძველზე. ხარისხი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვანძო წარმადობის მაჩვენებელს (KPI), რომელიც განიხილება შემოსავლებთან და მმართველობით შედეგებთან ერთად.

პარტნიორთა ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს პარტნიორთა საერთო კრება. აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისას ხარისხთან დაკავშირებული საკითხები განიხილება კომერციულ შედეგებთან ერთად, რათა პარტნიორთა ანაზღაურების სისტემა შეესაბამებოდეს როგორც ფირმის სტრატეგიულ მიზნებს, ისე აუდიტის ხარისხისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირები

სდპ-ების დასახელება, რომელსაც კომპანია უწევდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

შპს გრანთ თორნთონი, როგორც სდპ აუდიტორული ფირმა, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტს.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირების აუდიტი მოითხოვს ხარისხის, დამოუკიდებლობისა და პროფესიული სკეპტიციზმის მაღალ სტანდარტებს. ასეთი გარიგებების შესრულებისას შპს გრანთ თორნთონი იყენებს კლიენტისა და გარიგების მიღებისა და გაგრძელების შესაბამის პროცედურებს, დამოუკიდებლობის შეფასების მექანიზმებს, შიდა კონსულტაციებსა და ხარისხის მიმოხილვის პროცედურებს, როდესაც ეს მოთხოვნილია პროფესიული სტანდარტებით, Grant Thornton-ის გლობალური მეთოდოლოგიით ან ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნებით.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, შპს გრანთ თორნთონის მიერ საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 142,454 ლარი.

ქვემოთ წარმოდგენილია საზოგადოებრივი დაინტერესების პირების სია, რომელთათვისაც შპს გრანთ თორნთონმა საანგარიშგებო პერიოდში გასწია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურება:

1 სს „გრინ დაზღვევა საქართველო“

2 სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“

3 სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“

4 სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“

grantthornton.ge

© 2026 Grant Thornton LLC. All rights reserved.

'Grant Thornton' refers to the brand under which the Grant Thornton member Firms provide assurance, tax and advisory services to their clients and/or refers to one or more member Firms, as the context requires. Grant Thornton International Ltd (GTIL) and the member Firms are not a worldwide partnership. GTIL and each member Firm is a separate legal entity. Services are delivered by the member Firms. GTIL does not provide services to clients. GTIL and its member Firms are not agents of and do not obligate, one another and are not liable for one another's acts or omissions.